გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 66
2023 წლის 18 აპრილი
ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) ქონებიდან 15 კვ.მ ფართის, ფ/პ მადონა მარტიაშვილისთვის (პ/ნ 15001022954) პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიისთვის სს „ლიბერთი ბანკის" შიდა ქართლი-სამცხე ჯავახეთის რეგიონალური დირექტორის მიერ წერილობით მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მომხმარებლებისტვის საბანკო სერვისების ხელმისაწვდომობისა და კომფორტული მომსახურების მიწოდების მიზნით, სს „ლიბერთი ბანკი" რეგიონებსა და სოფლებში არსებულ საზოგადოებრივ ცენტრებში და იჯარით აღებულ ფართებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ლიბერთი ექსპრესის ოპერატორების მეშვეობით ემსახურება მომხმარებლებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის მუნიციპალიტეტის სოფელ შინდისში იგეგმება მითითებული სერვისის შეთავაზება მოსახლეობისთვის, სადაც მოქალაქეებს მოემსახურება სს „ლიბერთი ბანკთან" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ერთ-ერთი ადგილობრივი თანამშრომელი - მადონა მარტიაშვილი. აღნიშნული თანამშრომლების ვალდებულებაა თვითონ მოიძიონ საიჯარო ფართები სოფლებში და საიჯარო ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ სს „ლიბერთი ბანკი" აღნიშნულ თანამშრომლებს გაუფორმებს შრომით ხელშეკრულებას.

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2023 წლის 30 იანვარს (№ 19/2023030266-08) შემოსულია ფ/პ მადონა მარტიაშვილის (პ/ნ 15001022954) განცხადება, რომელშიც მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით, იჯარის ფორმით, მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფ. შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან ერთი ოთახი (15 კვ.მ ფართი).

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2023 წლის 13 მარტის N 045-ქ საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 66.42.11.000.263, დაზუსტებული ფართობი-980.00 კვ.მ)

განთავსებული შენობა-ნაგებობა N1-დან 15.00 კვ.მ, მისამართი: გორის მუნიციპალიტეტი, სოფელი შინდისი, უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 5100 (ხუთიათას ასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ. ფართის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გაცემა, რისთვისაც საჭიროა „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ - ს პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადასცეს ფ/პ მადონა მარტიაშვილს (პ/ნ 15001022954).

2. ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ ფართის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 5100 (ხუთიათას ასი) ლარით.

3. წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 600 (ექვსასი) ლარით.

4. ქონება, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, გაცემული იქნეს 1 (ერთი) წლის ვადით.

5. მოიჯარეს გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, სოფელ შინდისში მდებარე ს/კ 66.42.11.000.263 (ს/კ 66.42.11.263) უძრავი ქონებიდან 15 კვ.მ გადაეცემა მოსახლეობისთვის, ლიბერთი ბანკის სერვისების მიწოდების მიზნით.

6. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.

7. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით, გორის რაიონულ სასამართლოში (მის. გორი, ს. ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**